კორბოულობა – 2024

გაზეთი ეძღვნება კორბოულობის რიგით მეშვიდე სათემო დღესასწაულს – 27 ივლისი, 2024 წელი

გორაძირი ფოტოგრაფი: თემურ პეტრიაშვილი



რევაზ მაჭარაშვილი

დაიბადა 1954 წლის 20 იანვარს საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულში, პედაგოგების ოჯახში.

მამა – ანდრო მაჭარაშვილი, 31 წლის განმავლობაში მუშაობდა კორბოულის №2 და №1 საშუალო სკოლების დირექტორად, ხოლო 9 წელი – სასნაულო ნანილის გამგედ. დედა – ქრისტინე ხარშილაძე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, 4 ორდენისა და მრავალი საბრძოლო მედლის კავალერი. 2015 წელს მისი სახელი მიენიჭა კორბოულის №1 საჯარო სკოლას.

1971 წელს დაამთავრა კორბოულის №1 საშუალო სკოლა, 1977 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, ხოლო 1984 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორიკ ზაურიეს სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დასრნებული სანელების ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია. არის ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 1991-1996 ნლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტზე. 1998 ნლიდან მუშაობდა „საქართველოს ტრანსპორტის", „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების" და „ინფრასტრუქტურისა და განვითარების" სამინისტროებში მინისტრის აპარატის/ადმინისტრაციის უფროსად. იყო სამინისტროს კოლეგიის ნევრი, სათათბირო საბჭოს ნევრი. აიმაღლა კვალიფიკაცია იაპონიაში, შვედეთსა და ავსტრიაში.

2006 წელს „საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს" მიერ დაჯილდოვდა სიგელით: „ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცის".

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მრავალი ნლის განმავლობაში უალრესად აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის ორჯერ დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით" – 2002 და 2011 წწ., ხოლო 1984 წელს – ბრინჯაოს მედლით.

რევაზ მაჭარაშვილი 9 ნიგნის ავტორია. მიღებული აქვს კონსტანტინე გამსახურდიასა და მირზა გელოვანის სახელობის ლიტერატურული პრემიები. წარმატებით ენევა პუბლიცისტურ და მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას.

2023 წელს მიენიჭა საჩხერის საპატიო მოქალაქის წოდება. ჰყავს ერთი შვილი – ნიკოლოზ მაჭარაშვილი.

ტელ.: 577 22 24 52; E-mail: rmacharashvili55@gmail.com

გილოცავთ სათემო დღესასწაულს ძვირფასო მეგობრებო

ყოველი ადამიანი ვალდებულია სიკეთით გადაუხადოს იმ ხალხს, რომლის წიაღიდანაც წარმოშობილა. ამიტომაც არის, რომ სათემო დღესასწაულების მოახლოება განსაკუთრებით მაღელვებს, მაფორიაქებს და ვალდებულს მხდის ანგარიში ჩაგაბაროთ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. ასეა, როცა გენდობიან, უნდა გაუმართლო იმედები.

ჩემი უძველესი და ულამაზესი სოფლის წარსულის კვლევა, შარბათად გადამექცა. სხვანაირად ალბათ მთელი სიღრმით ვერასდროს შევიგრძნობდი იმ მიწის სურნელს, რომელზეც საუკუნეთა განმავლობაში დადიოდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები და ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. მათზე ფიქრი სევდასაც მგვრის და დიდ სიამაყესაც.

მიხარია, რომ უკანასკნელ ხანს შექმნილი ნაშრომებით, ფერფლწაყრილი დოკუმენტებიდან დავიწყების ბურუსს გამოვტაცეთ იმ სახელოვან მამაულიშვილთა (პედაგოგთა) სახელები, რომლებიც ნივთიერი გაჭირვებისა და აბსოლუტურად უუფლებო მდგომარეობის მიუხედავად, ერისათვის სასახელო მამულიშვილებს ზრდიდნენ. ამიერიდან ისინი საქართველოს უახლესი ისტორიის ბინადარნი გახდებიან, და „ერთ ჭერქვეშ" თავმოყრილნი, ამ ნაშრომებში განაგრძობენ „სიცოცხლეს". ეს ამბავი ისეთ სიხარულს მანიჭებს, სამყაროს რომ სცდება.

მრავალჟამიერ გუგუნებდეს თქვენი ხმა, ძვირფასო თანასოფლელებო. სულმაღალო, ზნემაღალო, ენამზიანო, გამრჯე, ამაყო, სტუმართმოყვარე და ბარაქიანო მასპინძლო; **სისხლო ჩემო, სიმდიდრევ ჩემო და იმედო ჩემო.**

გულწრფელად მოგილოცავთ მორიგ სათემო დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ახალ-ახალ წარმატებებს როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ საქმეში. **კვლავაც მრავალჯერ სიამაყით აღგვენიშნოს დღესასწაული, გაგვეზიარებინოს ერთმანეთისათვის წლიდან — წლამდე მიღწეული წარმატებები და დაგვესახოს რეალური გზები, პროგრესულ სამომავლო გეგმათა განსახორციელებლად**.

გკოცნით და გეფერებით ყველას. ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი უძველესი სოფლისა და თითოეული ჩვენგანის მფარველი.

რევაზ მაჭარაშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ორგზის ღირსების ორდენის კავალერი,
საჩხერის საპატიო მოქალაქე,
მრავალი ისტორიული წიგნის ავტორი

ასმეთაური კითხულობს სიას

(„შინმოუსვლელთა გორა"-ს დაარსების ისტორიიდან)

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 20 წლისთავი ახლოვდებოდა. სოფ. კორბოულის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარის - სიმონ კაპანაძის (რომელსაც ცოცხლად ახსოვდა ყველა შინმოუსვლელი თანასოფლელი), მწერლისა და კორესპოდენტის-უშანგი გოგოლაძის, საჩხერის რაიონის სატყეო მეურნეობის წარმომადგენლის — დიმიტრი დვალაშვილის ინიციატივითა და სოფ. კორბოულის №2 საშუალო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლე- ახალგაზრდობის აქტიურობით დაიწყო საქმიანი ფუსფუსი, გაერთიანდა ყველა თაობა, რათა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ვაჟკაცების უკვდავსაყოფად შინმოუსვლელთა გორაზე აღემართათ ობელისკი, გაეკეთებინათ ფოტოსტენდი და ირგვლივ გაეშენებინათ ტყეპარკი.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებებში შეიქმნა მოსამზადებელი კომისიები. სამუშაოთა გეგმა ითვალისწინებდა შინმოუსვლელი მეომრების სურათების თავმოყრას და მათი ბიოგრაფიების შედგენას. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი კორბოულის №1 საშუალო სკოლის პედაგოგები და მოსწავლე-ახალგაზრდობა. გადაწყდა, რომ შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად გორაზე დაერგოთ 105 ძირი ფიჭვი. რაოდენობა შემთხვევით არ შერჩეულა. **სოფელ კაპანაძეებიდან 176 ვაჟკაცი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში ფაშისტების წინააღმდეგ და მათგან მხოლოდ 71 დაუბრუნდა მშობლიურ კერას (176-71=105).** დატრიალდნენ კომკავშირლები: რუსუდან მაჭარაშვილი, დავით გოგალაძე, თამაზ სისვაძე, ანიკო კაპანაძე, ნაზი სისვაძე, ბონდო ტალახაძე, კაკო სისვაძე, გულნარა ხითარიშვილი და სხვები, დატრიალდნენ და სიტყვა საქმედ აქციეს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 20 წლისთავთან დაკავშირებით პირველი მარადმწვანე მცენარეები კორბოულის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დარგეს და მზრუნველობას არ აკლებდნენ შემდგომ პერიოდშიც.

სახელწოდება „შინმოუსვლელთა გორაც" სწორედ საიუბილეო წლის დასაწყისში გაჩნდა. მერედა, რა ჩქარა დამკვიდრდა იგი ძვირფასო მკითხველო კორბოულელ მშრომელთა გონებაში... ადრე „შინმოუსვლელთა გორა" ატარებდა იმ კუთხისა და ხალხის სახელებს, რომლებსაც ის ეკუთვნოდა. მაგალითად „ჩიჩინას გორა", „მაკარას სერი".

ობელისკი ჩქარა წამოიმართა, კიდევ დაირგო მარადმწვანე მცენარეები, ტერიტორია მთლიანად შემოიღობა მავთულბადით. ბრძოლის ველზე მამაცთა სიკვდილით დაცემულ ვაჟკაცთა სახეები მარმარილოზე ამოიკვეთა. მათი დავიწყება ნამდვილად არ შეეძლოთ თანასოფლელებს და სწორედ ამისათვის გაისარჯნენ კიდეც. სურათებით დამშვენებულ სტენდზე გაგრძელდა ამ სახელოვან მამულიშვილთა ლამაზი სიცოცხლე. ასე დაიწერა მათი დაუმთავრებელი ბიოგრაფიები. **აქ არიან ძმები: პლატონ, სიმონ და იასონ მაქაძეები, ივანე, შალვა და კოლია კაპანაძეები, გრიშა, არქიფო და არჩილ გულიაშვილები, ამბროსი და ივანე ყიფშიძეები, ქრისტეფორე და ალექსანდრე კაპანაძეები, სერგო და ტრიფონ ტეფნაძეები, ზურაბ და ნიკო კაპანაძეები, კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის ყოფილი მდივანი ალექსანდრე მაჭარაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული გრიშა სისვაძე, პედაგოგი გრიშა მაჭარაშვილი, ანდრო ჯალაბაძე, კონსტანტინე ცარციძე, ალექსანდრე ხომსურიძე, ნონიკა ცერცვაძე, კონსტანტინე სისვაძე ...**

თითქოს მხატვრის მიერაა გაცოცხლებული სურათები. თითქოს ასმეთაური კითხულობს სიას და ისინიც სათითაოდ პასუხობენ —„ვარ"!

ამაოდ არ დაღვრილა მათი სისხლი მოსკოვთან თუ სტალინგრადთან, ქერჩთან თუ კიევთან... მათმა და მსგავსი ახალგაზრდების თავდადებამ შეგვინარჩუნა ქვეყანა. მათი სახელები თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც სამშობლოსადმი, ქვეყნის ბედნიერი მომავლისადმი ბრძოლაში თავგანწირვის უბადლო მაგალითი. ამ სტატიასაც სწორედ ეს მიზანი აქვს.

1968 წლის 8 სექტემბერი. შინმოუსვლელთა გორა მორთულია წითელი ალმებით. შესასვლელშივე ვკითხულობთ ამაღელვებელ სიტყვებს: „მობრძანდით და მოგვიგონეთ". რკინის აღმართულ ფარს ამშვენებს წარწერა „შინმოუსვლელთა გორა, 1941-1945 წლები". ზემოთ კი გამოსახულია ვარსკვლავი, დროშა და გერბი. რკინის ფარებზე ამეტყველებულია შინმოუსვლელთა მოწოდება და გულთათქმა: „გაუმარჯოს მშვიდობას მთელს მსოფლიოში".

მოსწავლეები ყვავილების თაიგულებით რთავენ ობელისკს, ხოლო შინმოუსვლელთა სტენდთან ერთმანეთში ირევიან მოხუცები და ახალგაზრდები — შინმოუსვლელთა ახლობლები. ზოგი მათგანი მამის სურათს შეჰყურებს, ზოგი შვილისას. ემოციები... ცრემლები... ცრემლები ალბობენ მიწას. ჟღერს მუსიკა...

„შინმოუსვლელთა გორაზე" მოვიდნენ საჩხერის რაიონის ხელმძღვანელები, ომში დაღუპულ ვაჟკაცთა ახლობლები, ნაცნობ-მეგობრები, თანასოფლელები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი, პედაგოგები, მოსწავლეები, მეზობელი სოფლების მკვიდრნი...

დიახ, ეს იყო 1968 წლის 8 სექტემბერს. წყაროები ასე ღაღადებენ „შინმოსუვლელთა გორაზე", შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად აღმართული ობელისკის საზეიმო გახსნის ცერემონიას.

იწყება შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად აღმართული ობელისკის საზეიმო გახსნა. მოკლე და მგრძნობირე შესავალი სიტყვით გამოდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონ კაპანაძე, მოხსენებას კითხულობს საჩხერის რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილე, ამავე სოფლის მკვიდრი, მაიორი ივანე გოგოლაძე. ამაღელვებელ სიტყვებს წარმოთქვამენ ბრიგადირი ბარუსი ტალახაძე, მოსწავლეები: გიორგი გოგოლაძე, მანანა სისვაძე, გულნარა ბუწურაძე... დასასრულს იმართება მხატვრული განყოფილება.

ბატონი სიმონ კაპანაძის ვაჟიშვილი — რემი კაპანაძე — როგორც ღონისძიების უშუალო მონაწილე, იგონებს, რომ მთელი ეს გრანდიოზული ღონისძიება კორბოულის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის, ანდრო მაჭარაშვილის, პედაგოგიური გუნდისა და მოსწავლეთა ორგანიზებით მომზადდა და ჩატარდა. ჩატარდა მაღალ დონეზე, სკოლის, სოფლისა და

რაიონის სასახელოდ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ქალბატონის, პირველი საშუალო სკოლის პედაგოგის, ქრისტინე ხარშილაძის გამოსვლამ. მას დამსწრეთა აღფრთოვანება მოჰყვა.

1968 წლის 8 სექტემბერი სამუდამოდ დაამახსოვრდა ყველას, ვინც აქ მოვიდა და დაესწრო ამ შესანიშნავი წამოწყების კეთილად დაგვირგვინებას. **„გმადლობთ რომ მოგვიგონეთ“.** ეს სიტყვები შინმოუსვლელებს ეკუთვნით.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა ძვირფასო მკითხველო. ისტორია გრძელდება და მასთან ერთად გრძელდება შინმოუსველთა „სიცოცხლეც“.

* * *

გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის ტყე-პარკი 15 ჰა-ზე იყო უკვე გაშენებული. გარდა ამისა, კორბოულის საზოგადოების ინიციატივით, უკანსაკნელ წლებში აქ ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები შინმოუსვლელთა მემორიალების აღდგენასა და ბავშვთა დასასვენებელი სკვერის მოწყობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ სამუშაოთა დასრულების შემდეგ, 2018 წლის 28 ივლისს, სათემო დღესასწაულ „კორბოულობაზე“ საზეიმო ვითარებაში მოხდა მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა პატივსაცემად აღმართული (რესტავრიტებული) მემორიალებისა, და ასევე, ბავშვთა დასასვენებელი სკვერის გახსნა. ახლა აქ, შინმოუსვლელთა ორივე მემორიალზე კორბოულიდან მთლიანად 530 დაღუპული მეომრის შესახებაა მონაცემები ამოკვეთილი

ლენტი სიმბოლურად საქართველოს პარლამენტის წევრმა, საჩხერის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბ-მა პაატა კვიჟინაძემ, ქალაქ საჩხერის მერმა ბ-მა ბენიამენ ფალავანდიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ბ-მა ლევან ივანაშვილმა გაჭრეს. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა, სოფელ კორბოულის მოძღვართან დეკანოზ ნიკოლოზ მაჭარაშვილთან და სხვა სასულიერო პირებთან ერთად გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი აღავლინა.



2018 წლის 28 ივლისი. საზეიმო ღონისძიების გახსნა საჩხერის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ კორბოულში, შინმოუსვლელთა გორაზე.

მარჯვნიდან: პაატა კვიჟინაძე – საქართველოს პარლამენტის წევრი, საჩხერის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი; ლევან ივანაშვილი – საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ბენიამინ ფალავანდიშვილი – საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი.

ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელი, სასულიერო პირებთან ერთად, შინმოუსვლელი გმირების სულთა მოსახსენებელ პანაშვიდს აღავლენს.

ღონისძიების მონაწილეებმა გაიხსენეს ომებში გარდაცვლი, მათ შორის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირები:

მაჭარაშვილი ერმილე ზაველის ძე;
მაჭარაშვილი ზაზა ანზორის ძე;
მაჭარაშვილი უჩა სერგოს ძე;
კილაძე ვასილ სიმონის ძე;
შუბითიძე მურთაზ ვალერიანის ძე.

ისაუბრეს სოფლის ისტორიაზე, სოფლის კოლორიტ ადამიანებზე. ღონისძიების მრავალი მონაწილე გამოვიდა სიტყვით და მიულოცა დამსწრეთ სათემო დღესასწაული, რამაც აშკარად წარმოაჩინა მათი მაღალი ზნეობრივი და ინტელექტუალური ღირსებები. მათ შორის ვრცლად ისაუბრა ქრისტინე ხარშილაძის სახელობის სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორბოულის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა, ორგზის ღირსების ორდენის კავალერმა ბატონმა ბეგლარ არჯევანიძემ.

ამავე დღეს პირველად გაჟღერდა გადაწყვეტილება სათემო დღესასწაული ,,კორბოულობის“ დაწესებისა და მის მასშტაბურად აღნიშვნის შესახებ ყოველი წლის ივლისის ბოლო შაბათს. სათემო დღესასწაულის დაარსების ინიციატორები იყვნენ: საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი კორბოულის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში — ბატონი ვახტანგ კაპანაძე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი კორბოულის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულიდან ბატონი დავით მაჭარაშვილი და ბიზნესმენი კოტე კაპანაძე.

მას შემდეგ სათემო დღესასწაული კორბოულობა შინმოუსვლელთა გორაზე ყოველ წელს იმართება. გამოცდილებას გამოცდილება ემატება და დღესასწაული უფრო მასშტაბური და საინტერესო ხდება. დღესასწაულს სტუმრობენ საქართველოს პარლამენტის წევრები, ბატონები: პაატა კვიჟინაძე, გურამ მაჭარაშვილი. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ლევან ივანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გაგა დარბაიძე, მერის მოადგილე ბ-ნი ოთარ ომიაძე; საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ბ-ნი ლევან ჩხეიძე; მოადგილე — ბ-ნი ზურაბ თურმანიძე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრიგადის გენერალი ბ-ნი კახა ტაბატაძე; პოლიციის პოლკოვნიკი, ისტორიკოსი, მრავალი წიგნის ავტორი, საქართველოს შს სამინისტროს დამსახურებულ მუშაკი ბატონი ვიტალი ხარშილაძე, ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ მთავარ რედაქტორი ბ-ნ შოთა მაჭარაშვილი; სოფელ კორბოულის მოძღვარი, დეკანოზი ნიკოლოზ მაჭარაშვილი; სკოლების დირექტორები, ბატონები: ბეგლარ არჯევანიძე, გელა მაჭარაშვილი, ინა ბიწაძე, სოსო მაჭარაშვილი, ცირა ტაბატაძე, პედაგოგები და სხვა პასუხისმგებელი პირები, რომლებიც გულწრფელად ულოცავენ დამსწრე საზოგადოებას მორიგ სათემო დღესასწაულს და უსურვებენ კვლავაც აქტიურ და ნაყოფიერ მოღვაწეობას თავიანთ პროფესიონალურ საქმეში ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ღონისძიება ყოველთვის იწყება კომპოზიტორ გია მაჭარაშვილის სიმღერით „ჰიმნი კორბოულს“, რომელიც დაიწერა პოეტი ქალბატონის, ნათელა მაჭარაშვილის ლექსზე. იბეჭდება სპეციალური გაზეთი სახელწოდებით „კორბოულობა“ და „სამკერდე ემბლემა“, რომლებიც საჩუქრად გადაეცემა ზეიმის ყველა მონაწილეს. უკანასკნელ წლებში საჩუქრებად დარიგდა ასევე ჩემი წიგნი-კატალოგი სახელწოდებით „კორბოულის თემი“, რომელშიც ამ უძველესი და უმშვენიერესი მაღალმთიანი სოფლის ვრცელი ისტორიიდან გამოყოფილია შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტები და დაწყობილია ქრონოლოგიურად — თარიღების შესაბამისად, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება და უაღრესად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს. განვლილი პერიოდში მიღწეულ წარმატებათა შესახებ მოსახლეობას ანგარიშს აბარებენ მომხსენებლები, მათ შორის ბატონები: ვახტანგ კაპანაძე და დავით მაჭარაშვილი. ხოლო კორბოულის საჯარო სკოლების მოსწავლეები არაჩვეულებრივი ლიტერატურულ-მუსიკალური და ქორეოგრაფიული კომპოზიციით აჯილდოებენ მაყურებლებს.

2021 წლის დღესასწაულზე განსაკუთრებული ოვაციები გამოიწვია კორბოულის № 1 საჯარო სკოლის დირექტორის - თაობების აღმზრდელის - **ბატონი ბეგლარ არჯევანიძისათვის** საჩხერის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებულმა ჯილდოს გადაცემამ. ამავე ღონისძიებაზე განხილულ იქნა **გიორგი, გოჩა და სალომე ტაბატაძეების** მიერ წარმოდგენილი პროექტი: „კორბოულის სამომავლო განვითარების გეგმა“.

2022 წლის დღესასწაულისთვისაც საინტერესო გეგმები გვქონდა, რისთვისაც კარგა ხნით ადრე ვემზადებით, ამ ზეიმისათვის სპეციალურად მოვიწვიეთ მომღერალი დავით ნეფარიძე. მაგრამ როგორც ცნობილია, წინა დღით — 29 ივლისს გუდაურში დატრიალებული ტრაგედიის გამო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის

გადაწყვეტილებით, 30 ივლისი გლოვის დღედ გამოცხადდა. **მიუხედავად ამისა, ჩვენ უკლებლივ შევიკრიბეთ „შინმოუსვლელთა გორაზე“, მაგრამ არა საზეიმოდ, არამედ დაღუპულთა ოჯახებისა და ახლობლებისათვის სამძიმრის გამოსახატავად. ავანთეთ მრავალი სანთლი, წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ გარდაცვლილთა ხსოვნას და დავიშალეთ, სულ ეს იყო ჩვენი შეკრების მიზანი 2022 წლის 30 ივლისს.**

2023 წლის საზეიმო ღონისძიებაში კი განსაკუთრებული ის იყო, რომ მასში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ჩამოვიდნენ ახალგაზრდები საქართველოს დედაქალაქიდან და საზოგადოებას თავიანთი შემოქმედება უჩვენეს, რითაც მოიხიბლა მაყურებელი. ასე, რომ სათემო დღესასწაული „კორბოულობა“ უკვე გასცდა ერთი მუნიციპალიტეტის საზღვრებს და შესაძლოა მომავალში საერთო-სახალხო ზეიმად იქცეს. მოწვეულ საპატიო სტუმრებს საჩუქრად გადაეცა ჩემი ახალი წიგნის „შენ ჩვენო იმედო“ (მეორე ნაწილი) სასიგნალო ეგზემპლიარები. ღონისძიება ჩვეულებრივ დასრულდა კომპოზიტორ გია მაჭარაშვილის სიმღერით „ჰიმნი კორბოულს“.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმ პატრიოტ მამულიშვილებს, იმ კეთილშობილ ადამიანებს, რომლებიც ყოველი დღესასწაულის მომზადებისა თუ სხვა ნებისმიერი საჭიროების დროს, კორბოულის თემის ხელმძღვანელებს — ღონისძიების ორგანიზატორებს, მუდამ გვერდში უდგანან და აქტიურად მონაწილეობენ შესაბამის პროცესებში. ესენი არიან ბატონები: გია სისვაძე, ზურაბ შუბითიძე, გოჩა ხარშილაძე, თენგიზ კაპანაძე, ლევან და ზურაბ კაპანაძეები და სხვები. ხოლო რაც შეეხება ჩვენგან ნაადრევად წასულ, ყველასაგან პატივცემულ ადამიანს, ბატონ კოტე კაპანაძეს, მე მის ხსოვნას სპეციალური სტატია მივუძღვენი ამავე გაზეთში.

* * *

ამრიგად: შინმოუსვლელთა გორას თავისი ლამაზი ისტორია შეუქმნეს კორბოულის მშრომელებმა. ახლა იგი არა მარტო სოფელ კორბოულის, არამედ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ღირსეული, ერთ-ერთი ისტორიული ადგილია. იგი საჩხერე-თბილისის საავტომობილო გზის გვერდით მდებარეობს და ყველა გამვლელი, რაც უნდა გზას ეშურებოდეს, უნებლიეთ დაინახავს გორაზე აღმართულ ძეგლს და მის გარშემო ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ, აშოლტილ ნაძვის ხეებს. უთუოდ დაინტერესდება, შეჩერდება და სიამოვნებით დაათვალიერებს მას.

მოკრძალებით დავაბიჯებთ შინმოუსვლელთა გორაზე და ვგრძნობთ, რომ აქ ომში დაღუპული ვაჟკაცები მასპინძლობენ. ისინი სამუდამოდ დამკვიდრდნენ ამ ადგილზე. წმინდათა წმინდაა მათი სახელი, რომლებსაც შთამომავლობა სათუთად შეინახავს. ისინი იცოცხლებენ თანასოფლელთა გვერდით და მარად ჭაბუკებად შერჩებიან დროჟამის მდინარებას.

წყარო: გაზეთი „ახალი ცხოვრება“ №112 (გვ.3); 21. 09. 1968 წ;
გაზეთი „ახალი ცხოვრება“ №45; 16.04. 1968 წ. და სხვ.

რევაზ მაჭარაშვილი

სოფელი კორბოული გუშინ, დღეს, ხვალ

ქალაქ საჩხერიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის მოშორებით, ლამაზ მთაგორიან, ბუნების მშვენიერებით შემკულ მიდამოზე გაშლილია დიდი ისტორიული წარსულის მქონე სოფელი კორბოული. იგი ერთ–ერთი უძველესი დასახლებაა, რასაც ადასტურებს ადგილზე აღმოჩენილი დიდძალი არქეოლოგიური მასალა.

კორბოულის ტერიტორიაზე (გორაძირი) მდებარეობს ორი ჩამქრალი ვულკანის კონუსი. მათი სიმაღლე ზღვის დონიდან 1110 და 1097 მეტრია. სავარაუდოდ, ამ ვულკანების ამოფრქვევა 6-7 მილიონი წლის წინათ უნდა მომხდარიყო. 1976 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი) გორაძირის ყორღანებსა და სამარხებში გამოავლინა კერამიკული მასალები (ჭურჭელი), ბრინჯაოს ნივთები (სატევრის პირები, ისრის პირები, საკინძეები, მრავალნაირი ფორმისა და ზომის მძივები, ოქროს თხელი ფურცლით შემკობილი სპილენძისა და ბრინჯაოს სამაჯურები) და სხვ.

გორაძირის მასალის ტიპოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ იგი დაახლოებით ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს მიეკუთვნება. მეცნიერები უშვებენ ვარაუდს მასალათა ერთი ნაწილის კიდევ უფრო ადრეულობის შესახებ. ამრიგად, კერამიკული მასალები თუ ბრინჯაოს ნივთები ცხადია „ვერ ამბობენ“, რომ აქ არსებობდა სოფელი, რომელსაც კორბოული ერქვა, მაგრამ ამ ადგილებში არსებულ დასახლებას კი ცალსახად ასაბუთებენ.

მივყვეთ მოვლენებს ქრონოლოგიურად:

—1901 წელს გამოცემული ჟურნალი „Кавказский календарь“ იტყობინება (გვ. 88), რომ 1900 წელს სოფ. კორბოულის საზოგადოება 5 დასახლებული პუნქტისაგან შედგებოდა 8006 მცხოვრებით.

— 1921 წელს შეიქმნა კორბოულის რაიონი, რომელშიც გაერთიანეს 14 სოფელი: თვით კორბოული, შომახეთი, ნიგვზარა, ბერეთისა, მოძვი, ჯალაურთა, წასრი, ჭალოვანი, ლიჩი, წმანი, ღოდორა, ვაკისა, ჩონთო და ჯვარი. მაგრამ შორაპნის მაზრის აღმასკომის პლენუმის 1925 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით (ოქმი №1) კორბოულის რაიონმა ფუნქციონირება შეწყვიტა და მასში შემავალი სოფლები საჩხერის რაიონს დაექვემდებარა.

— 1926 წლის ივლისის პირველ რიცხვებში კორბოულში შემთხვევით მოხვედრილა შემდეგში ასპინძის რაიონული გაზეთ „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორი კ. ნიქაბაძე, და თანაც იმ დროს, როდესაც ბაზრობა ჯერ კიდევ გრძელდებოდა. იმდენად აღფრთოვანებულა ნანახით, რომ 27 ივლისს უკვე უაღრესად საინტერესო წერილი გამოუქვეყნებია გაზეთში „მუშა“, რომელსაც გავეცანი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში: **„... ამ თემში საკმაოდ გავრცელებულია განათლება. არსებობს 7-წლიანი სკოლა, სამკითხველო, თეატრი... არსებობს კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, საექიმო პუნქტი, აფთიაქი და სხვა. ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა ამ თემს: არ ყოფილა აქ ელ. სმენი, რომელიც სასიხარულოდ, ახლა უკვე გაჰყავთ და რამდენიმე დღის შემდეგ დამთავრდება მუშაობა.** რაც შეეხება თვით მცხოვრებთ, ბევრი დადებითი მხარეები შევნიშნე მათში: სწავლა-განათლებისადმი სიყვარული. თითქმის არ არის არც ერთი ოჯახი, რომ თუ მეტი არა, ერთი მაინც არ იყოს აღჭურვილი საჭირო განათლებით; აღსანიშნავია მცხოვრებთა შრომისმოყვარეობა, რომელიც არ რჩება დაუჯილდოებელი: საკმაოდ მოდის ჭირნახული.

ამ მხარეს ამშვენებს თვით დაწესებულებათა მუშაკებსა და მცხოვრებთა შორის ურთიერთობაც. აქ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ნდობით არის აღჭურვილი თემ-აღმასკომი. პატივისცემით იხსენიებენ გლეხები აღმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც, რამდენად მე პირადათაც დავრწმუნდი, თავის სიმაღლეზე სდგას...

რაც შეეხება კორბოულის მდებარეობას, ეს პირდაპირ თვალწარმტაცი რამ არის. ასეთი მშვენიერი, ყოველმხრივ შემკულ ადგილს იშვიათად შეხვდებით. კორბოული არა თუ ჩამორჩენილია განათლების მხრივ, არამედ ბევრ სხვა თემზე მაღლა სდგას და, თუ მივიღებთ სახეში ყველა მის დადებით მხარეებს, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი სულ მალე მოექცევა პირველთა რიცხვში“.

საოცარი წერილია და თანაც ნამდვილი პროფესიონალის დაწერილი. მასში ერთი საუკუნის წინანდელი მდგომარეობაა აღწერილი. ნაგვიანევი მადლობა ბატონ კ. ნიქაბაძეს, რომელიც კორბოულში რაღაც შემთხვევის გამო მოხვდა, დაინტერესდა სოფლის ცხოვრებით და ასეთი შესანიშნავი, მე ვიტყოდი ისტორიული, წერილი გამოქვეყნა. კ. ნიქაბაძის წერილი განსაკუთრებით იმიტომაა საინტერესო, რომ უცხო კაცის თვალითაა დანახული მაშინდელი ჩვენი სოფელი, რომელიც მართლაც მოწინავეთა შორის მოწინავე ყოფილა. როგორც ჩანს კ. ნიქაბაძეს არ უთხრეს, რომ ის 7-წლიანი სკოლა, 1872 წელს გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებლის სახით და ყოფილ შორაპნის მაზრაში პირველ საერო სკოლას წარმოადგენს, თორემ დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტს დაწერდა ეს უაღრესად კეთილშობილი და ალალმართალი კაცი. **აღნიშნულიდან გამომდინარე მორალი: აკეთე ცხოვრებაში კეთილი საქმე!**

— საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, სადაც მოტანილია მასალა **1926 წლის აღწერის შედეგების მიხედვით** შორაპნის მაზრის მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, კორბოულის თემი წარმოდგენილია შემდეგნაირად (იხ. ცხრილი):

დასახელება	მოსახლეობის რიცხოვნობა
კორბოულის თემი, მთლიანად	**8673**
გოგოლაძეები	1055
კაპანაძეები	411
მაჭარაშვილები	677
მოძვი	631
ნიგვზარა	774
სისვაძეები	1116
შომახეთი	1059
ჩონთო	634
წასრი	402
ჯალაურთა	1372
ჯვარი	542

— 1928 წელს **კორბოულში იქმნება სასოფლო საბჭო. ამ პერიოდში მის ტერიტორიაზე 1641 კომლია 8664 მცხოვრებით**.

ვიცი მკითხველი დაინტერესდება: რატომ მომყავს ეს სტატისტიკური მონაცემები? — გიპასუხებთ:

ძალიან დიდი სურვილი მქონდა გამეკეთებინა დასკვნა სხვადასხვა პერიოდში საკუთრივ კორბოულში მოსახლეობის რიცხოვნობასთან დაკავშირებით. მაგრამ ზემოთ მოცემული ინფორმაცია გამოდგება იმის დასტურად, რომ **სხვადასხვა დროს, კორბოულში შემავალი სოფლების რაოდენობა არ იყო მუდმივი.** ტერიტორიული მოწყობის პრინციპებიდან გამომდინარე, ხან შეჰყავდათ რიგი სოფლები მის შემადგენლობაში, ხან გამოჰყავდათ, რასაც ბუნებრივია თან ახლდა მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ცვლილება.

ამდენად, დროთა განმავლობაში საკუთრივ სოფ. კორბოულის მოსახლეობის რიცხოვნობის, კლებადობისა და ზრდის შესახებ დასკვნის გაკეთება შეუძლებელი გახდა.

მინდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება:

XVIII საუკუნის ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე წარმოდგენილი სოფლები: კაპანათუბანი, გოგოთუბანი, მაჭარაშვილები, სისვაძეები, ამჟამად საკუთრივ სოფელ კორბოულში არიან შეზრდილნი. აქედან გამომდინარე, ეს დასახლებები ისტორიულ ნასოფლარებს წარმოადგენენ, თუმცა მათი სახელები დღემდე შემორჩა უბნებს სახელწოდებებად. გვაქვს ასევე: კილაძეების, ჯალაბაძეების, გოგატიშვილების, დარბაიძეების, ხარშილაძეების, ლაბაძეების, ტალახაძეების, ფოფხაძეების, ტაბატაძეებისა და სხვა გვართა კომპაქტური დასახლებები (უბნები) — ღმერთმა გვიმრავლოს!.

ისმის კითხვა: მაინც როდიდან დაკარგეს სოფლების სტატუსი გოგოლაძეებმა, სისვაძეებმა, მაჭარაშვილებმა და კაპანაძეებმა?

წარმოიდგინეთ, რა დრო დასჭირდებოდა ამ ინფორმაციის მოძიებას საქართველოს ეროვნულ არქივსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ მილიონობით საქმესა და წიგნს შორის, მაგრამ ვინც ეძებს — პოულობს კიდეც. აი, ეს დოკუმენტიც, რომელსაც პირველად ვაქვეყნებ, და მიზანშეწონილად ვთვლი ისტორიკოსებმა, იურისტებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა მოინიშნონ თავიანთთვის — ეს ხომ სოფლის ისტორიაა:

ბრძანებულება საჩხერის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ
ქ. თბილისი. 3 ოქტომბერი, 1951 წელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს (მომყავს მთლიანად — რ.მ.):

1. ეწოდოს საჩხერის რაიონის ხვანის სასოფლო საბჭოს მისი ცენტრის სახელწოდების შესაბამისად — ჭალოვანის სასოფლო საბჭო;

2. გაერთიანდეს სოფელ კორბოულის სახელწოდებით **სოფლები:** გოგოლაძეები, სისვაძეები, მაჭარაშვილები და კაპანაძეები;

3. ეწოდოს სოფელ ზედა ლიჩს — სოფელი ლიჩი.

ვფიქრობ ყველაფერი ნათელია.

კორბოული დღეს თემის ცენტრია. გაშლილია 8200 ჰა-ზე. მასში შედის 3 სოფელი: საკუთრივ კორბოული, შომახეთი და ნიგვზარა. კორბოულში არსებულ უბნებს 2021 წელს დაემატა ჩონთო, ოტრია და ჯვარი. იგი ერთ-ერთი დიდი სოფელია ზემო იმერეთში როგორც ფართობით, ასევე მოსახლეობით, რომელიც მთლიანად 5750 კაცს შეადგენს. მანძილი სოფლის ცენტრიდან ქალაქ საჩხერემდე 18 კმ-ია. სოფლის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან აკრავს შინმოუსვლელთა გორა, სადაც ყოველ წელს იმართება დიდი სათემო დღესასწაული „კორბოულობა“.

სოფელი მდიდარია „კვარცის ქვიშით“, „კირქვით“, „ბაზალტით“, „ტეშენიტით“, „ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის მასივებით“, მაგრამ მთავარ სიმდიდრეს, პირველ რიგში, მისი ალალმართალი და სტუმართმოყვარე მშრომელები წარმოადგენენ თავიანთი მაღალი ინტელექტით, გამორჩეული ადამიანებით — ინტელიგენციით — უაღრესად განათლებული და კულტურული ხალხით.

დღეისათვის კორბოულის თემში წარმატებით ფუნქციონირებს: საზოგადოებრივი ცენტრი (გაიხსნა 2015 წლის 22 მარტს), 3 საჯარო, 2 საბაზო, 2 დაწყებითი სკოლა და ამბულატორია (ბადრი მაჭარაშვილი, შორენა მაჭარაშვილი, თამარ ბარბაქაძე). მაჭარაშვილებისა და სისვაძეების უბნებში გაიხსნა საბავშვო ბაღები ახალთ-ახალი შენობებითა და ევროსტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომლებსაც ხელმძღვანელობენ:

- მაჭარაშვილების უბანში — ირმა კავთელაძე;
- სისვაძეების უბანში — თამარ სადუნიშვილი;

სოფლის ყოველ კუთხეში მისასვლელი გზები რეაბილიტირებულია, ყველა სახლი ლითონის ფერადი სახურავების ქვეშაა მოქცეული და ადამიანებს უწინდებურად უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლა ვეღარ აშინებთ; ყველა ოჯახში ბუნებრივი აირი ცისფრად ციმციმებს და ა. შ. **ეს ყველაფერი კი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ბიზნესმენის, ქველმოქმედისა და მეცენატის — ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფასდაუდებელი საჩუქარი გახლავთ.**

* * *

სოფ. კორბოულის თემის მოსახლეობის უმრავლესობა დიდი ხანია განიცდის უსაფრთხო სასმელი წყლის დეფიციტს, რაც მათი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვან გართულებას იწვევს.

ამჟამად მდ. ძირულას ხეობაში შენდება წყლის შემკრები ორი სათავე ნაგებობა, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოამარაგებს კორბოულის თემის მოსახლეობას ხარისხიანი სასმელი წყლით. მშენებლობა დაიწყო 2022 წელს, რომელსაც აწარმოებს სამშენებლო კომპანია „მშენებელი -80; 2024 წლის ბოლოს წყალსადენი ექსპლუატაციაში შევა. სახელმწიფოს ეს მშენებლობა 20 მილიონი უჯდება. დარწმუნებული ვარ, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის გაწეულ ამ უდიდეს შრომაზე, მომავალში ისტორია ილაპარაკებს.

გთავაზობთ წყალსადენის მიმდინარე მშენებლობის ამსახველ ზოგიერთ ფოტო-სურათს:



ცნობილია, რომ კორბოულის თემში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია მეცხოველეობა. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სწორედ რძის გადასამუშავებელი ქარხნის დაარსება, რომელსაც ცნობილი ბიზნესმენები, ზურაბ და გიორგი შუბითიძეები ჩაუდგნენ სათავეში.

მშენებლობა ძირითადად დაიწყო 2023 წელს, ხოლო მისი ამოქმედება განსაზღვრულია 2024 წლის 1 აგვისტოდან. წარმოიდგინეთ როგორ შეამსუბუქებს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას ქარხნის არსებობა, როდესაც ქარხანა პირდაპირ ჩაიბარებს რძეს მოსახლეობიდან და აღარ იქნება საჭირო ყოველ ოჯახში როგორც რძის გადასამუშავებლად საჭირო აუცილებელი პროცედურების ჩატარება, ასევე მზა პროდუქციის რეალიზების ორგანიზება.

პირველ ეტაპზე ქარხანაში დაგეგმილია შემდეგი პროდუქციის წარმოება: იმერული ყველი, სულგუნი, ხაჭო, არაჟანი, ნადუღი, მაწონი. ხოლო შემდეგ ეტაპზე დაიწყება ნაყინისა და ნახევარფაბრიკატების (გაყინული პელმენი და სხვ.) გამოშვება.

გთავაზობთ ქარხნის მიმდინარე მშენებლობის ამსახველ ზოგიერთ ფოტოსურათს:

გარდა აღნიშნულისა: ბიზნესმენმა პაატა მაჭარაშვილმა ძლევის უბნიდან გორაძირის დასახლებამდე გაიყვანა გარე განათება;

სოფელში დაგეგმილია ქარის ელექტროსადგურის აშენება ახაშმური — ნიგვზარა — სანთელას ყოფილი ციხის ტერიტორიაზე.

ბუნებრივია, ამ დიდი სიკეთის მქმნელი ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს.

მოგეხსენებათ, სახელმწიფოს შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი უჯრედი, ერის ქვაკუთხედი ოჯახია, რომლის ძლიერება ქვეყნის ძლიერების საფუძველს წარმოადგენს. ამიტომაც არის, რომ სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ცხოვრების უკეთესი პირობებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მეტი გარანტიების შექმნის თაობაზე.

კორბოულის თემი ამაყობს მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობით, მათ შორის 8 შვილიანი ოჯახებით:

— სოფლის მოძღვარის, დეკანოზ მამა ნიკოლოზ მაჭარაშვილის ოჯახი;

— ხვიჩა მაჭარაშვილის ოჯახი;

— ნიკოლოზ მაჭარაშვილის ოჯახი და სხვ.

სოფელში დაბადებულ და გაზრდილ სახელოვან ადამიანებზე, ისტორიულ ძეგლებზე და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე, ინფორმაცია შეტანილი მაქვს ჩემს წიგნებში: „შენ ჩვენო დიდო იმედო“ (პირველი და მეორე ნაწილი), რომლებიც განთავსებულია სოფ. კორბოულის იაკობ გოგებაშვილის სახ. ბიბლიოთეკაში (დაარსებულია 1912 წ.; ხელმძღვ. ქ-ნი ნინო ტაბატაძე) სათანადო ფოტოსურათებით, და ამდენად საგაზეთო სტატიაში მათზე აღარ ვისაუბრებ.

რევაზ მაჭარაშვილი

პირველი სათემო დღესასწაული უშენოდ

„კარგის მამის შვილს, წესია,
მტერიც უფრთხება კვალადა“
(*ვაჟა-ფშაველა)*

დღეს ივლისის ბოლო შაბათია ბატონო კოტე. სათემო დღესასწაულს აღნიშნავს მთელი სოფელი და მასთან ერთად საჩხერის მუნიციპალიტეტი. საპატიო სტუმრები გვყავს თბილისიდან, ქუთაისიდან და საქართველოს სხვა მრავალი ქალაქიდან.

მწვანეში ჩაფლულ „შინმოუსვლელთა გორაზე“ უნებლიეთ გეძებთ ახლობლებს შორის... ჯერაც ბოლომდე ვერ გაგვიცნობიერებია ყველაფერი რაც შარშან აგვისტოში მოხდა. გული და გონება კვლავაც ერთმანეთს ებრძვის: გული ვერ გთმობს, ხავსს ეჭიდება და მაინც გეძებს, რადგან მისი ერთადერთი კანონი მხოლოდ უზომო სიყვარულია, ხოლო გონება კარნახობს — ტყუილად!.

ბედნიერებაა მიდიოდე ამ ქვეყნიდან და ამდენი ადამიანის გულში ტოვებდე უდიდეს კვალს როგორც უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ღირსეული მოქალაქე, საამაყო ადამიანი.

იმ ტრაგედიის დღეებში სოციალურ ქსელში თქვენი მეგობრებისა და ახლობლების სტატიების ტევა აღარ იყო.

> ქ-ნი ნინო ჯღარკავა წერდა: უმამოდ გაზრდილმა ბიჭმა, სამ მეგობართან ერთად როგორ გაწმინდეთ ლილოს ნაგავსაყრელი საკუთარი ხელებით; როგორ არ ერიდებოდით ფიზიკურად მუშაობას; როგორი ენთუზიაზმი გქონდათ და დროთა განმავლობაში მთელი იმპერია შექმენით, დღეს „ლილო მოლი“ რომ ჰქვია. მერე იყო ის ცნობილი რეჟიმი, ხან ვინ გემუქრებოდათ ნაშრომის წართმევით და ხან ვინ, მაგრამ ვაჟკაცურად დაუდექით, არ დათმეთ, რადგან საკუთარი შრომით მოპოვებულის დათმობა არ ყოფილა იოლი და შეინარჩუნეთ. თქვენი ღვაწლი კომპანიის განვითარებაში მართლაც რომ ყოველმხრივ განუზომელია, თუმცა ეს ყველაფერი თქვენი საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარეა.
>
> თქვენს ქველმოქმედებაზე საჩხერეში ლეგენდები დადისო — წერდა ქ-ნი ნინო. თქვენ უპატრონეთ სტუდენტობის მეგობრებს, მეზობლებს, გაჭირვებულებს, ეკლესიას, პედაგოგებს, პოლიციის მეგობრებს... მერე წახვედით ყველასაგან მოულოდნელად და დატოვეთ სევდიანი ისტორია, მაგრამ მასთან ერთად დატოვეთ ბევრი სიკეთე, დიდი ოჯახი და დიდი იმპერია... მადლობა, რომ ყველაზე რთულ მომენტებში მუდამ ჩემს გვერდით იყავით. პირველად მიღალატეთ, მაგრამ მიპატიებია (ნინო ჯღარკავა).

მართლაც დიდი მადლობა ბატონო კოტე ქვეყნისა და ხალხის წინაშე გაწეული სამსახურისათვის; მადლობა ადამიანთა გვერდით დგომისათვის; მადლობა იმ ქველმოქმედებისათვის, რომელსაც მთელი ცხოვრება ეწეოდით და რომლებზეც დღეს ლეგენდებს ჰყვებიან. მადლობა კარგი კაცობისათვის, დიდი მეგობრობისათვის. არასდროს დამავიწყდება, რომ ჩემი წიგნის „შენ ჩვენო დიდო იმედო“ (მეორე ნაწილი) გამოცემაში თქვენი გარკვეული წვლილიცაა შეტანილი. და ეს ზღვაში წვეთია... ვინ აღწერს თქვენს მიერ გაღებულ უამრავ მადლსა და სიკეთეს.

ბატონებთან: ვახტანგ კაპანაძესთან და დავით მაჭარაშვილთან ერთად იყავით სათემო დღესასწაული „კორბოულობის“ დაარსების ინიციატორი, რომელიც პირველად 2018 წლის 28 ივლისს გაიმართა „შინმოუსვლელთა გორაზე“ თქვენივე ხელდასმით, და მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება ივლისის ბოლო შაბათს.

მადლობა იმისათვის, რომ თქვენი ძვირფასი მშობლების — ბატონი ბუხუტი კაპანაძისა და ქალბატონი ნათელა მაჭარაშვილის ავტორიტეტი ახალ სიმაღლეზე აიყვანეთ. ისე, თუ სიმართლეს ვიტყვით ჩემო კოტე, არც თქვენს გარეშე აკლდათ მათ სახელებს ბრწყინვალება, მაგრამ თქვენი დამსახურება იმაშია, რომ სხვა ელფერი მიეცით, კიდევ უფრო მახლობელი და საყვარელი გახადეთ ისინი ხალხისათვის. როგორი სიამაყით ისმენს დღეს კორბოულის ყველა მცხოვრები (და არა მხოლოდ) ქალბატონი ნათელას ლექსზე კომპოზიტორ გია მაჭარაშვილის მიერ შექმნილ სიმღერას „ჰიმნი კორბოულს“, რაშიც დიდი წვლილი მიგიძღვით. თქვენს სახელთან ერთად, ეს დიდებული ჰიმნი სამუდამოდ დარჩება ამ უძველესი და ულამაზესი სოფლის ისტორიაში.

უკანასკნელ ხანს თურმე განსაკუთრებით კორბოული გენატრებოდათ. ალბათ ამიტომ იყო ბოლო შეხვედრაზე რომ მითხარით: „ლილოში ყველაფერს ჩემს შვილს ვუტოვებ და მთლიანად სოფელში ჩამოვდივარო“.

თქვენ აღადგინეთ ნგრევის პირას მისული კორბოულის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და გააკეთილშობილეთ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. თქვენი დიდი სურვილი იყო ამ ტაძრის ეზოში დაკრძალვა და ეს ნატვრა აგისრულდათ ბატონო კოტე, სამუდამოდ ჩაგიკრათ გულში ღვთისმშობლის ეკლესიის წინაპართა წმინდა მიწამ, თუმცა ვწუხვართ, რომ ძალზე ნაადრევად მოხდა ეს ყველაფერი. თქვენ იმ ასაკში დაგვტოვეთ, როცა სრულფასოვნად იწყება ადამიანის ნიჭისა და შესაძლებლობების გამომჟღავნება და ვინ იცის, რა დიდებული, რა საგმირო საქმეების თვითმხილველები გავხდებოდით კიდევ მომავალში.

ამბობენ, ბაბუა სიმონი უყვარდაო განსაკუთრებით. მეც მასწავლიდა ბატონი სიმონი და მახსოვს სკოლაში რომ მოჰყავდი ხოლმე ხელჩაკიდებული. სულ ფეხდაფეხ დაგდევდათ, ამბობდა: მეშინია, ბავშვი რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ხიფათი მაინც არ აგშორდათ ჩემო კოტე. მართალი ყოფილა ბაბუა სიმონი... როგორც ჩანს ეს ყველაფერი ბედისწერა იყო და ვერ აცდი.

ღმერთს თქვენთვის ნამდვილად არაფერი დაუშურებია: ნიჭი, თავმდაბლობა, კეთილშობილება, მეგობრობისა და სიყვარულის უნარი. ამიტომ იყო, რომ მთელი თქვენი ცხოვრება ერთი მხრივ საზოგადოებრივ საქმესა და მეგობრებს, ხოლო მეორე მხრივ ოჯახის, შვილების, შვილიშვილების სამსახურს შეალიეთ. იყავით საყვარელი მეუღლე, საფიცარი მამა, საფიცარი ბაბუა და ასე იქნება მომავალშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე თქვენს სულს იფიცებენ, თუმცა გჯეროდეთ, რომ ეს დაფიცება გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე მანამდე იყო. დარწმუნებული ვარ, თქვენი დიდი ავტორიტეტი, მომავალშიც მარადიულ მწვანე შუქზე ატარებს ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ადამიანი სიყვარულით იბადება და დასასრულს, რაც იმ ქვეყნად შეუძლია წაიღოს, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია. ყველაზე ღირებული კი, რასაც ამ ქვეყნად ტოვებს — სახელი. ამიტომაც იყო, რომ გასული წლის 19 აგვისტოს ზღვა ხალხი იყო მოსული თქვენს საპატივსაცემლოდ, უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად. აუხსნელია, მაინც როგორ მოახერხეთ ამდენი ადამიანისათვის სითბოსა და სიყვარულის გაცემა. როგორც ჩანს, მართლაც არის რაღაც, რომელიც არ ისწავლება და ღმერთმა უნდა გიბოძოს. ამ ყველაფრის თქმას სწორედ იმ დღეს ვაპირებდი ჩემო კოტე, უკანსკნელ გზაზე რომ გაცილებდით, და რაც მაშინ ვერ გითხარით, მინდა ახლა ჰპოვოს ფურცლებზე სამუდამო თავშესაფარი.

რა გაეწყობა, რაც არ უნდა მოხდეს, ცხოვრება გრძელდება, თავისი გზით მიდის, ასეთია ბუნების კანონი.

გავა დრო, მოვლენ ახალი თაობები, ბევრი რამ შეიცვლება, გარდაიქმნება, ნებით თუ უნებლიეთ ბევრი რამ დავიწყებას მიეცემა, დარწმუნებული ვარ, გლობალიზაცია ბევრ ღირებულსაც შეიწირავს, მაგრამ დარჩება თქვენი სახელი როგორც „ლილო მოლის“ არქიტექტორი, შემოქმედი, ამაყად იდგება თქვენს მიერ რესტავრირებული „ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი“, მარად იარსებებს თქვენი ხელდასმით შექმნილი „ჰიმნი კორბოულს“ რომელზეც თაობები აღიზრდებიან და მარად იარსებებს კაცური კაცის სახელი: კოტე ბუხუტის ძე კაპანაძე.

სხვა რომ არაფერი, ყველაფერ ამად კი, ნამდვილად ღირდა სიცოცხლე.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა, თქვენი ლამაზი სული, აწ და მარადის.

რევაზ მაჭარაშვილი

ახალი ტაძრები კორბოულში

„საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა, არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი; ჭეშმარიტად ამ განგებამ და მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა. მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა ღმერთმა. მუხლს ვიყრი მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსენებას მისას“.

ეს სიტყვები საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ეკუთვნის ძვირფასო მკითხველო, რომელიც წარმოთქვა 1977 წლის 25 დეკემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღსაყდრების ზეიმზე.

ამ დღიდან დაიწყო მისი უწმინდესობის, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მძიმე შრომა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ასაღორძინებლად და ქართველ ერში სულიერების მტკიცედ დასამკვიდრებლად. ძნელია სათანადოდ შეაფასო ის ღვაწლი, რაც მის უწმინდესობას მიუძღვის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და, საერთოდ, ქართველი ერის წინაშე განვლილი 47 წლის მანძილზე: **აიგო მრავალი ტაძარი, მონასტერი და განუზომლად გამრავლდა სამწყსოც. აღსაყდრებისას მან ჩაიბარა ქართული ეკლესია 15 ეპარქიაში მოქმედი 30 ტაძრით, სადაც რამდენიმე ათეული ეპისკოპოსი და ბერ-მონაზონი მსახურებას აღავლენდა. ხოლო დღეს, მისი უწმინდესობის ღვაწლით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 46 ეპარქიაა 2000-ზე მეტი მოქმედი ტაძრით და 3000 -ზე მეტი ბერ-მონაზვნით. ეს უბრალო რიცხვები არ არის, ეს ჩვენი სულიერების და ჩვენი იდენტობის საფუძველთა საფუძველია.**

გადის დრო და ტაძარს-ტაძარი ემატება, მრევლს-მრევლი და განუსაზღვრელად იზრდება, მტკიცდება ერის სულიერება.

ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის ლოცვითა და კურთხევით, სისვაძეების უბანში, ახალგაზრდა ბიზნესმენის — გაგა კაპანაძის მიერ უკვე დასრულდა ქართველი სასულიერო მოღვაწის, მეცნიერისა და პედაგოგის, 1860-1896 წლებში იმერეთის ეპისკოპოსის, წმინდა გაბრიელ ქიქოძის სახელობის ტაძრის მშენებლობა.

იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, საშუალო ზომის. ფასადი შემკულია ბოლნისის ქვით. ტაძრის მშენებლობა 2 წლის წინ დაიწყო და მთელი ამ პერიოდის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა. პროექტი შეთანხმებულია საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან არსებულ საბჭოსთან. ტაძარში მღვდელმსახურებას ეწევა სოფელ კორბოულის მოძღვარი, დეკანოზი ნიკოლოზ მაჭარაშვილი.



გარდა აღნიშნულისა, გორაძირზე ქ-ნი ნატალია ნადირაძისა და ბატონი ლუკა ვანგის მიერ მიმდინარეობს წმინდა მოციქული სვიმონ კანანელის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რომელიც დასასრულს უახლოვდება. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, საშუალო ზომის. ფასადი შემკულია ანანურის ქვით. გთავაზობთ მიმდინარე მშენებლობის ამსახველ ფოტოსურათებს:

სოფელ კორბოულის მოსახლეობისათვის უკვე ცნობილია, რომ 1992 წელს, სისვაძეების უბანში, ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, ბატონი გია სისვაძის მიერ აშენდა წმინდა გიორგის სახ. ტაძარი. შემდგომში ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბატონმა გიამ მოაწყო არაჩვეულებრივი დასასვენებელი სივრცე სახელწოდებით „პეტრეს სოფელი“, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია სტუმრობა და დასასვენება. დიდი მადლობა ყველასათვის მახლობელ და ძვირფას ადამიანს, ბატონ გია სისვაძეს, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის. „ავსა და კარგსა კაცისას, როდი ივიწყებს სოფელიო“ — წერდა ჩვენი დიდებული ვაჟა-ფშაველა. გთავაზობთ რამდენიმე ფოტოსურათს ხსენებულთაგან:

წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი სისვაძეების უბანში

პეტრეს სოფელი

1999 წელს კაპანაძეების უბანში ბატონი თენგიზ კაპანაძის მიერ აშენდა კვირაცხოვლობის სახ. ტაძარი. ჭიათურის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა აბრაამმა ეკლესია-ტაძრის კურთხევის შემდეგ საჯაროდ წაიკითხა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მიერ გამოგზავნილი შემდეგი შინაარსის სიგელი:

„ბატონ თენგიზ კაპანაძეს

ბატონო თენგიზ,

მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, ჭიათურის მთავარ ეპისკოპოს აბრაამისაგან შევიტყვეთ იმ დიდი ღვაწლის შესახებ, რომელიც თქვენ დასდეთ სოფელ კორბოულის მცხოვრებთ და არა მარტო მათ. თქვენი მონდომებით საქართველოს ეკლესია-მონასტრებს კიდევ ერთი შესანიშნავი ტაძარი — კვირაცხოვლის ეკლესია შეემატა. იგი მრავალ ადამიანს აზიარებს ღვთის სიწმინდეთ და უკვდავ ძეგლად დარჩება ჩვენს მომავალ თაობებს. ღმერთმა გაგაძლიეროთ თქვენ და თქვენი ოჯახი. უფალმა შეიწიროს თქვენი შრომა და მოგანიჭოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და სიხარული. ღმერთმა მოგცეთ ძალა სხვა მრავალ კეთილ საქმეთა აღსასრულებლად.

ღრმა პატივისცემით,

ილია II ; სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი“.

სადაც არ უნდა იყოს, და რა გადაუდებელი საქმეც არ უნდა ჰქონდეს, ბატონი თენგიზი თავს მოვალედ თვლის, მოიწვიოს ტაძარში სასულიერო პირები, საზოგადების წარმომადგენლები და ყოველწლიურად უმასპინძლოს როგორც კვირაცხოვლობის, ასევე სხვა დღესასწაულებს. ეს ყველაფერი მისი დიდი შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს, რაც თავისთავად ცხადია სამაგალითოა და საზოგადოების დიდ კმაყოფილებას იწვევს. მე პირადად მრავალჯერ ვყოფილვარ ამ ღონისძიებების უშუალო მონაწილე, რისთვისაც დიდი მადლობას ვუხდი ბატონ თენგიზს. მინდა დავძინო, რომ ბატონი თენგიზ კაპანაძე 1998 წლიდან საჩხერის საპატიო მოქალაქეა.

ამ გაზეთის საშუალებით დღეს პირველად გვინდა ვაცნობოთ ფართო საზოგადოებას კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ:

სოფ. კორბოულში, ხუცების უბანში მცხოვრები მთავარი დიაკვნის, ილარიონ მაჭარაშვილის ოჯახში, მისი შთამომავლობის მიერ უკანასკნელ ხანს ნაპოვნი იქნა 2 დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს იმერეთის ეპისკოპოსი, წმინდა გაბრიელ ქიქოძე 1878 წლის 28 აგვისტოს:

1. **„მე გაბრიელ ეპისკოპოსმა იმერეთისა — 1878 წლის 28 აგვისტოს, იმერეთის ეპარქიაში, კერძოდ სოფელ კორბოულში გავხსენი და ვაკურთხე კიდევ ერთი ტაძარი ღვთისმშობლისა.**

ამ დიდებულ ტაძარსა ვწირავ, გელათის ბარძიმ-ფეშხუმსა მოჭედილი ვერცხლითა, და ძვირფასი ქვითა. ხელის ჯვარსა, ვერცხლისა და კოვზსა უბრალოსა.

ვინც გაბედოს ამ დიდებული ბარძიმ-ფეშხუმის გატანა და მითვისება, კრულ იყოს უკუნითი უკუნისამდე.

ეს დეპეშა გადაეცეს მთავარდიაკონსა — ილიარიონსა, მაჭარაშვილსა.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“

2. **„გაბრიელ ეპისკოპომა იმერეთისა — განგებითა ღვთისაითა 1878 წლის 28 აგვისტოსა სოფ. კორბოულში ტაძრის გახსნის შემდეგ ჩავატარე კრება მთავარ დიაკვან ილარიონის სახლში. კრება გახსნილად გამოაცხადა მღვდელმა ვლადიმირმა.**

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მთ. დიაკონმა ილარიონმა. კრებაზე იქნა გადაწყვეტილი ხუთი საკითხი. უმთავრესი საკითხი, არს - ესე: მიეცეს კათედრალი შორაპნის შემდგომ ღვთისმშობლის ტაძარსა და დადგეს მესამე ადგილზე.

ვინც გაბედოს ამ დიდებულ ტაძარს ჩამოართვას კათედრა, ეს გინდ იყოს ეგზარხოსი ან რომელიმე იერარქი, იქმნას შეჩვენებულ კორბოულის ღვთისმშობლის მიერ.

კრებას ესწრებოდა — მღ - ვლადიმერი, დათა, ონისიმე, გერმანე, ზაქარია, მთავ - დიაკონი ილარიონი, მეეტლე მორჩილი გერმოგენი, ფოფოდია, მანანო, მატრონა, ქსენია და სტოროჟი ბესარიონი.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა

კორბოული, 1878 წ.“

აღნიშნული წერილები დაცულია სოფ. კორბოულის ყოვლათწმინდა ღვთისმშობლის სახ. ტაძარში. აქვე მინდა გავაკეთო ასეთი განმარტება: როგორც ჩვენთვის ცნობილია, ყოვლათწმინდა ღვთისმშობლის სახ. ტაძრი გაცილებით ადრეულ წლებშია აშენებული, ვიდრე 1878. ასე, რომ იმერეთის ეპისკოპოსის, წმინდა გაბრიელ ქიქოძის სტუმრობა კორბოულში 1878 წლის 28 აგვისტოს, დაკავშირებულია ტაძრის გახსნასთან აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ.

უკანასკნელ ხანს ეკლესიის რესტავრაცია მოხდა ძმების — კოტე და დავით კაპანაძეების — მიერ. ხოლო მოსაპირკეთებელი სამუშაოები განხორციელდა ამავე სოფლის მკვიდრის, დევიკო კაპანაძის მიერ.

რევაზ მაჭარაშვილი

გაზეთის რედაქტორი — რევაზ მაჭარაშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი, საჩხერის საპატიო მოქალაქე, მრავალი ისტორიული წიგნის ავტორი; ტელ.: 577 22 24 52;
ელ.ფოსტა: rmacharashvili55@gmail.com;
დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

სიმონ კაპანაძე

სიმონ მარკოზის ძე კაპანაძე დაიბადა 1916 წელს მარკოზ კაპანაძისა და დესპინე შაორშაძის რვა შვილიან ოჯახში.

კორბოულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო „წითელი პროფესურის სკოლაში“, ხოლო 1936 წლიდან „თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში“ (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი), სადაც მიღებულ იქნა სკკპ წევრად (1938 წ).

სასწავლებლის მე-3 კურსიდან სიმონ კაპანაძე გაწვეული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1939 – 1941 წწ. იბრძოდა სსრკ-ფინეთის ომში ჩრდ. დასავლეთისა და დასავლეთის ფრონტზე, კერძოდ ლენინგრადის და ორიოლ-კურსკის მიმართულებით. დაიჭრა მძიმედ კურსკის რკალის დროს. ხოლო მკურნალობის შემდეგ, 1943 წლის ბოლოს, ქ. გროზნოს სამხედრო ჰოსპიტლიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო დაბრუნებულ იქნა სახლში დემობილიზებული.

ამის შემდეგ სიმონ კაპანაძე სწავლას განაგრძობს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (დაუსწრებლად), და პარალელურად მუშაობას იწყებს გოგოლაძეების არასრულ საშუალო სკოლაში სამხედრო საქმის მასწავლებლად. გარდა ამისა, აქტიურად მონაწილეობს საოჯახო და საკოლმეურნეო შრომით საქმიანობაში. **გოგოლაძეების სკოლის ისტორიაში ვკითხულობთ უაღრესად საინტერესო ფრაზას: „მოსწავლეებს და პედაგოგებს არასდროს დაავიწყდებათ, რომ სკოლის კარები ჯარისკაცის ფარაჯით შემოაღო კოსტა სადუნიშვილმა, სიმონ კაპანაძემ, ამბროსი კაპანაძემ, გრიგოლ ნადირაძემ, ბენია მაჭარაშვილმა, სიმონ მაჭარაშვილმა და სხვ.“, რაც თავისთავად ძალიან ბევრის მთქმელია.**

1944 წელს დაოჯახდა: მეუღლე — კორბოულის №1 სკოლის პედაგოგი თინათინ ტაბატაძე გახლდათ.

1948 წელს სიმონ კაპანაძე არჩეულ იქნა სისვაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო სისვაძეებისა და გოგოლაძეების კოლმეურნეობების რეორგანიზაციის (შეერთება-გამსხვილების) შემდეგ — გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

თუ მის ბიოგრაფიას ქრონოლოგიურად მივყვებით, სწორედ აქ უნდა მოვიყვანო კიდევ ერთი საინტერესო ამონარიდი კორბოულის №2 სკოლის პედაგოგის — ქალბატონი დალი ტაბატაძის სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილია 1958 წლის 6 სექტემბრის საჩხერის რაიონულ გაზეთში „ოქტომბრის გზით“. ეს ის პერიოდია მეგობრებო, როდესაც გოგოლაძეებში უკვე იხსნება საშუალო სკოლა №2 სკოლის სახელწოდებით:

„პირველ სექტემბერს მოუთმენლად ელოდნენ კორბოულის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები. ელოდნენ და ეს დღეც გათენდა... საზეიმო ვითარებაში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. მოსწავლეებს სწავლის დაწყება, ახალ სასკოლო შენობაში გადასვლა მიულოცა და ახალი წარმატებები უსურვა სკოლის დირექტორმა ამხ. ანდრო მაჭარაშვილმა... მიტინგის დასასრულს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. სიმონ კაპანაძემ ლენტი გაჭრა. მოსწავლეებმა მხიარული ჟრიამულით მიაშურეს საკლასო ოთახებს“.

1960 წელს გაერთიანებული კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ, სიმონ კაპანაძე აირჩეულ იქნა სისვაძეების რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1967 წლამდე. ხოლო 1967 წლიდან არჩეულ იქნა სოფ. ჯალაურთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც 1971 წლამდე მოღვაწეობდა.

ამის შემდეგ, 1971 წლიდან იგი კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიურ საქმიანობას კორბოულის №2 საშუალო სკოლაში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

სიმონ კაპანაძე იყო აქტიური პარტიულ-სამეურნეო მუშაკი. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა კორბოულის მე-2 საშუალო სკოლის პირველი შენობა. მისივე ინიციატივით, და საჩხერის რაიონისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით, „გომი-საჩხერის“ საავტომობილო გზის, „გორაძირი-კორბოული-ჯალაურთა-გორისის“ მონაკვეთი შეიცვალა „გორაძირი-სისვაძეები-გორისის“ მონაკვეთით, რამაც სახელმწიფოს დაუზოგა მნიშვნელოვანი თანხა.

ვის შეუძლია აღწეროს ათეული წლების განმავლობაში მის მიერ გაწეული ხალხისათვის სასიკეთო საქმეები. **წინამდებარე გაზეთში განთავსებულ ჩემს სტატიაში „ასმეთაური კითხულობს სიას“ მკაფიოდა მოჩანს სიმონ კაპანაძის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 20 წლისთავის აღსანიშნავად, ომში დაღუპული ვაჟკაცების უკვდავსაყოფად „შინმოუსვლელთა გორაზე“ ობელისკის აღმართვის, ფოტოსტენდის მოწყობისა და ირგვლივ ტყე-პარკი გაშენების საკითხთან დაკავშირებით, და ამდენად, აქ აღარ განვმეორდები.**

სიმონ კაპანაძე იყო პარტიულ-სამეურნეო არჩევითი ორგანოების მრავალგზის წევრი და დეპუტატი. მიღებული ჰქონდა მრავალი სამხედრო ჯილდო.

უაღრესად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, მან და ქალბატონმა თინათინ ტაბატაძემ 4 საუკეთესო შვილი აღუზარდა ქვეყანას, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუდამ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში:

ცისანა კაპანაძე — ინჟინერი-ტექნოლოგი;
როსტომ კაპანაძე — მეტყევე ინჟინერი;
რემი კაპანაძე — ინჟინერ-მექანიკოსი;
თემური კაპანაძე — სამთო ინჟინერი.

ვუსურვოთ დიდხან სიცოცხლე და წარმატებები, ღირსეული მშობლების ღირსეულ შთამომავლობას.

რევაზ მაჭარაშვილი